გიორგი კალანდარიშვილი 2017 წლის ოქტომბრიდან ს.ს ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორია.

2015 წლიდან გიორგი იკავებდა პროექტების დირექტორის თანამდებობას Hunnewell Partners Georgia-ში. ასევე 2015 წელს, გიორგი გახდა ს.ს. ლიბერთი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2010-2015 წლებში იყო Standard Group Ltd-ის პარტნიორი. Standard Group Ltd-მდე იყო პროექტების მენეჯერი Forward Capital Ltd-ში 2008-2009 წლებში.

2005-2007 წლებში, გიორგი იკავებდა გენერალური დირექტორის პოზიციას ს.ს. სტანდარტ ბანკში. 2001 წელს შეურთდა ს.ს. აგრობიზნესბანკს საკრედიტო დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიციაზე, საიდანაც 2003 წელს დაიკავა ამავე ორგანიზაციის გენერალური დირექტორის თანამდებობა. აგრობიზნესბანკამდე გიორგი იყო აუდიტორული კომპანია NACON-ის პარტნიორი.

1998-1999 წლებში იყო საინვესტიციო სამსახურის უფროსი ს.ს. თბილკრედიტბანკში. 1997 წელს გიორგი საინვესტიციო დეპარტამენტის მენეჯერის პოზიციას იკავებდა TBC ბანკში.